სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2025 წელი

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა ---------- 3

1.1 კვლევის მიზანი და ამოცანები ----------3

1.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ----------4

1.3 სამიზნე ჯგუფი ----------5

2. კვლევის შედეგები ----------6

2.1 კოლეჯში არსებული სასწავლო გარემო ----------6

2.2 სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიები ----------7

2.3 სასწავლო საწარმოები და პრაქტიკა ----------8

2.4 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება ----------9

2.5 პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესი ----------10

2.6 ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ----------11

2.7 ინტერნეტ მომსახურება და ვებ-გვერდი ----------12

2.8 კარიერის დაგეგმვა და გაცვლითი პროგრამები ----------13

2.9 სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები ----------13

დასკვნა ----------14

რეკომენდაციები ----------14

კვლევის მიმოხილვა

2025 წლის ნოემბრის დასაწყისში სსიპ კოლეჯში „აისი“ ჩატარდა პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების საჭიროებებისა და კმაყოფილების შეფასების კვლევა. კვლევა განხორციელდა ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ.

კვლევაში მონაწილეობდნენ კოლეჯის „აისი“ ოთხი ფილიალის (გურჯაანი -ს. კაჭრეთი; დედოფლისწყარო - ს. სამრეკლო; ლაგოდეხი - ს. შრომა; ახმეტა -ს. ქვემო ალვანი) სტუდენტები და მსმენელები. კვლევის მთავარი მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისა და მსმენელების საჭიროებების, კმაყოფილების დონესა და დამოკიდებულებების გამოვლენა.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ კი სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. წინასწარ შემუშავებული კითხვარი მოიცავდა როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს. კვლევა განხორციელდა კოლეჯის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ანონიმურად, Google Forms პლატფორმის გამოყენებით.

კითხვარი გაგზავნილი იყო ოთხივე ფილიალის 523 სტუდენტსა და მსმენელზე, საიდანაც შევსება დაასრულა 447-მა მონაწილემ, რაც მთლიანი სიის 85 %-ს შეადგენს.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მთავარი მიზანი იყო სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების საჭიროებებისა და კმაყოფილების დადგენა. ამ მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

• კოლეჯში „აისი“ არსებული სასწავლო გარემოს შეფასება;

• სასწავლო პროცესის მატერიალური და ტექნიკური ბაზისა და აუდიტორიების მდგომარეობის შესწავლა;

• სასწავლო საწარმოებისა და პრაქტიკული სწავლის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შეფასება;

• კოლეჯში „აისი“ პედაგოგებითა და მათი მუშაობის ხარისხით კმაყოფილების გამოკვლევა;

• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო პროცესით კმაყოფილების დონის განსაზღვრა;

• კოლეჯის ადმინისტრაციის მუშაობისა და ურთიერთობის კულტურის შეფასება;

•ინტერნეტსერვისებითა და კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდის გამოყენებით კმაყოფილების გამოკვლევა;

• სტუდენტთა ინტერესების შესწავლა კარიერის დაგეგმვისა და საერთაშორისო/საკოლეჯო გაცვლითი პროგრამების მიმართ;

• სტუდენტების სურვილებისა და დამატებითი საჭიროებების იდენტიფიცირება.

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი, სტრუქტურირებული და თვითადმინისტრირებადი კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდის შერჩევა განპირობებული იყო კვლევის თემატიკის სპეციფიკით და სანდო, სტატისტიკურად დამუშავებადი მონაცემების მიღების საჭიროებით. რაოდენობრივი კვლევა იძლევა შესაძლებლობას სამიზნე აუდიტორიისგან მიღებული ინფორმაციის გენერალიზებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისთვის. კვლევის ანონიმურობა უზრუნველყოფს პასუხების სისწორესა და რეალობას.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც დახურული, ისე ღია ტიპის კითხვებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფი წარმოადგენდა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის სტუდენტებსა და მსმენელებს. კვლევა განხორციელდა ანონიმურად, Google Forms პლატფორმაზე, სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კითხვარი სტუდენტებს გაეგზავნათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, განისაზღვრა პასუხების შევსების ვადა, ხოლო კითხვარის დასაწყისში მოცემული იყო კვლევის მიზანი, ამოცანები, შევსების ინსტრუქცია და ქულის მინიჭების პრინციპის ახსნა.

სულ კითხვარი გაეგზავნა 523 სტუდენტსა და მსმენელს, მიღებული იქნა 447 შევსებული ფორმა.

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ
პლატფორმა	Google forms
სამიზნე ჯგუფი	სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები/მსმენელები
რესპოდენტთა რაოდენობა	447 რესპოდენტი
კვლევის არეალი	სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ფილიალი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	15-20 წუთი

1.3 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფად, კვლევის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ფილიალის მოქმედი სტუდენტები/მსმენელები. კვლევის პერიოდისთვის წარმოდგენილი იყო 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და 2 პროფესიული მომზადების მსმენელები. ჯამურად გამოიკითხა 447 სტუდენტი/მსმენელი.

გამოკითხვა ჩატარდა შემდეგი პროფესიის სტუდენტებთან :

1. მევენახეობა - მეღვინეობა;
2. ვეტერინარია;
3. ელექტროობა;
4. სატყეო საქმე;
5. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება;
6. მეფუტკრეობა;
7. კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
8. იატაკისა და ფილის სამუშაოები;
9. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
10. ხის მხატვრული დამუშავება;
11. თმისა და სილამაზის მომსახურება;
12. საექთნო განათლება;
13. კულინარიის ხელოვნება
14. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
15. მებაღეობა;
16. თექის დამზადება;
17. შედუღება;
18. კერამიკული ნაკეთობის დამზადება;
19. ბუღალტრული აღრიცხვა;
20. მხატვრული ქსოვილები.

პროფესიული მომზადების პროგრამების მსმენელებთან:

1. ,,ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა”;
2. „ქართული და უცხოური კერძების მომზადება“.

2. კვლევის შედეგები

2.1 კოლეჯში არსებული სასწავლო გარემო

სსიპ კოლეჯის „აისი’ სტუდენტები/მსმენელები კმაყოფილნი არიან სასწავლებელში არსებული სასწავლო გარემოთი. კოლეჯის აუდიტორიების მდგომარეობით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებით, ელექტრო ქსელითა და გათბობა-კონდიცირების სისტემით, ლაბორატორიებისა და შენობის კეთილმოწყობით.

შედეგების მიხედვით სტუდენტების/მსმენელების შეფასება შემდეგ კითხვებზე ასე გამოიყურება: სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (99.7%); სტუდენტებისთვის კომპიუტერების რაოდენობა და მათი პროგრამული უზრუნველყოფა დამაკმაყოფილებელია (99.7%); აუდიტორიებში დამონტაჟებული მონიტორები გამართულად მუშაობს (100%); იატაკი, კედლები, კარ-ფანჯრები არის კარგ მდგომარეობაში (არ არის დაბზარული, ჩამტვრეული და ა.შ) და არ უშლის ხელს სასწავლო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას (99.4%); წყალგაყვანილობა და სველი წერტილების მოწესრიგებულია (99.7%); ელექტრო ქსელი და გათბობა-კონდიცირების სისტემა მუშაობს გამართულად (100%); ქსეროქსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის (99.4%); დაწესებულებაში სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სათანადოდაა დაცული (99.4%).

ამ თავში მოცემული კითხვების პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N1-ზე.

გრაფიკი N 1 კოლეჯში არსებული სასწავლო გარემო.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.2 სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიები

კვლევის ერთ-ერთი მიმართულება შეეხებოდა სასწავლო პროცესის ტექნიკურ უზრუნველყოფას და სასწავლო სივრცეების კეთლმოწყობას, აღნიშნული ბლოკის კითხვებზე მიღებული პასუხების პროცენტული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

• თეორიული სასწავლო აუდიტორიების კეთილმოწყობით სრულად კმაყოფილია პასუხის გამცემთა 98%;

• სასწავლო მასალებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საკმარისობა მთელი ჯგუფისთვის შეფასებულია 99%-ით;

• კომპიუტერული ბაზის ხელმისაწვდომობითა და მოწყობით კმაყოფილება შეადგენს 99.2%-ს;

• სასწავლო პროცესის ბიბლიოთეკით უზრუნველყოფის კმაყოფილების დონე ასევე 99.1%-ია.

სტუდენტების და მსმენელების პასუხების ანალიზმა აჩვენა შედარებით დაბალი კმაყოფილების მაჩვენებლები შემდეგ საკითხებში:

• სასწავლო პროცესის ინტერნეტით უზრუნველყოფა – 93.8%;

• პროფესიული სტუდენტის/მსმენლის უფლებებსა და მოვალეობებზე ინფორმირებულობა – 92.4%

გრაფიკი N 2 კოლეჯის სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და სასწავლო აუდიტორიები.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.3 სასწავლო საწარმოები და პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სტუდენტთა/მსმენელთა უმრავლესობა (100%) გამოთქვამს კმაყოფილებას კოლეჯში არსებული სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიების აღჭურვილობისა და საჭირო ტექნიკით/იარაღებით მომარაგებაზე, ასევე უმაღლესი შეფასება აქვს საკითხს სასწავლო საწარმოები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (99.7%), უმაღლესი შეფასება აქვს ასევე შემდეგ კითხვას: კოლეჯის მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება სასწავლო პრაქტიკისთვის საჭირო აღჭურვილობისა და დანადგარების განახლება/რემონტი (99.4%).

კითხვების პროცენტული განაწილება იხილეთ გრაფიკ N 3-ზე.

გრაფიკი N 3 კოლეჯის სასწავლო საწარმოები და პრაქტიკა.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.4 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება

კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტები/მსმენელები ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ სსიპ კოლეჯის „აისი“ პედაგოგიურ პერსონალს. მათ პასუხებში გამოვლენილია მაღალი კმაყოფილების დონე შემდეგ კომპონენტებში:

• ლექციების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები – 99.2%;

• სტუდენტებს/მსმენელებსა და მასწავლებლებს შორის დამყარდებულია პოზიტიური და პროფესიული ურთიერთობა – 99.2%;

• მასწავლებლები სათანადოდ არიან მომზადებულნი და იყენებენ მრავალფეროვან რესურსებსა და ვიზუალურ მასალებს – 99.2%;

• პედაგოგიური პერსონალის პროფესიონალიზმი შეფასებულია როგორც უმაღლესი – 99.2%;

• ჯგუფური მუშაობის ორგანიზება და მართვა შეფასებულია 99.2%-ით;

• სტუდენტები კმაყოფილნი არიან სპეციალობის სწავლების საერთო დონით – 99.4%.

გრაფიკი N 4 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.5 პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესი

სსიპ კოლეჯ „აისი“-ში პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისას, სტუდენტებისა და მსმენელების პასუხები ნათლად მიუთითებს მათ მაღალი კმაყოფილების დონეზე. კვლევის შედეგების მიხედვით, პასუხების უმრავლესობა ასახავს პოზიტიურ დამოკიდებულებას როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართ.

სტუდენტებმა და მსმენელებმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცეს შემდეგ კომპონენტებს:

• სტუდენტთა/მსმენელთა რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად – 98%;

• თეორიული ლექციების ხარისხი – 99.2%;

• სასწავლო ცხრილების დროული დაგეგმვა და გამოქვეყნება – 100%;

• სპეციალობის სწავლების დონე – 99.4%;

• დამატებითი გამოცდებისა და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების თარიღები წინასწარ და დროულად არის ცნობილი – 99.7%;

• კოლეჯში არსებული შეფასების სისტემის მიმართ კმაყოფილება – 99.2%;

• საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი შეფასება – 99.2%.

გრაფიკი N 5 კოლეჯის პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესი.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.6 ადმინისტრაციასთან ურთიერთობა

კვლევის ერთ-ერთი მიმართულება უკავშირდებოდა სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ხარისხის შეფასებას. მიღებული მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ სტუდენტებისა და მსმენელების კმაყოფილების დონე ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ნაწილში ძალიან მაღალია.

გამოკითხულთა ყველაზე მაღალი შეფასება მიღებულია შემდეგ საკითხებში:

- ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით – 99.7%;
- ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია მარტივი და ხელმისაწვდომია, ასევე უზრუნველყოფილია მხარდაჭერა – 99.7%;
- ადმინისტრაციის მხრიდან დროული და სწორად დაგეგმილი ინფორმირება – 99.7%;
- ადმინისტრაციული პროცესები არის გამართული და ეფექტური – 99.4%.

გრაფიკი N 6 კოლეჯის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.7 ინტერნეტ მომსახურება და ვებ-გვერდი

კვლევის ნაწილი მიზნად ისახავდა კოლეჯის ვებ-გვერდის ფუნქციონირების და ინტერნეტის ხელმისაწვდომობით კმაყოფილების შეფასებას. მიღებული პასუხების პროცენტული განაწილება შემდეგია:

- კოლეჯის ვებ-გვერდზე ინფორმაცია განახლდება რეგულარულად – 99.4%;
- ვებ-გვერდი ეფექტურად ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას – 99.2%;
- ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მსმენელებისთვის – 92.4%;
- ინტერნეტის სიჩქარე შეფასებულია როგორც დამაკმაყოფილებელი – 92.4%.

გრაფიკი N 7 კოლეჯის ინტერნეტ მომსახურება და ვებ-გვერდი.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია 9-10 ქულის შესაბამისი მონაცემები.



2.8 კარიერის დაგეგმვა და გავლითი პროგრამები

მონაცემებმა გვაჩვენა, რომ სტუდენტებისა და მსმენელების დიდ ნაწილს აქვს ინფორმაცია კარიერის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ (კი – 96.3%; არა – 3.7%). მიღებული პასუხების მიხედვით, გამოკითხულთა 93.7%-ს სურს გაიაროს კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების უნარების განვითარების ტრენინგები, რომლებიც მოიცავს სამუშაოს ძიებას, CV-სა და სამოტივაციო წერილის მომზადებას, ასევე გასაუბრების ტექნიკებს.

კითხვაზე: „მიიღებდით თუ არა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში?“ პასუხების აბსოლუტურმა უმრავლესობამ — 99.2%-მა — პოზიტიური პასუხი გასცა. სტუდენტებმა ასევე დაასახელეს ქვეყნები, სადაც გაცვლით პროგრამაში ჩართვა ისურვებდნენ. ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებები იყო: გერმანია, აშშ, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვა ქვეყნები.

გრაფიკი N 8 კოლეჯში კარიერის დაგეგმვა და გაცვლითი პროგრამები.

შენიშვნა: გრაფიკზე წარმოდგენილია „დიახ“ პასუხის შესაბამისი მონაცემები.



2.9. სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები

სტუდენტებსა და მსმენელებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესახელებინათ საკუთარი საჭიროებები და ინტერესები. მიღებულმა უკუკავშირმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებისთვის პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიმართულებით არსებობს შემდგომი აქტივობების დაგეგმვის პოტენციალი. მათი შეფასებით, მიზანშეწონილია ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, როგორიცაა სტუდენტების/მსმენელების ნამუშევრების გამოფენები, დასაქმებული კურსდამთავრებულების გამოცდილების გაზიარება, და პოტენციურ დამსაქმებლებთან უფრო ხშირი შეხვედრები.

ასევე გამოიკვეთა სტუდენტებისა და მსმენელების სურვილი, კოლეჯში გაიმართოს მასტერკლასები და ვორქშოფები დარგის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული მოთხოვნა იყო სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება.

დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის მიზანი სრულად მიღწეულია. მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები და მსმენელები კმაყოფილები არიან კოლეჯში არსებული გარემოთი, ღია კითხვებში დაფიქსირებული პოზიციები ძალზედ დადებითია, სტუდენდები გამოხატავენ მადლიერებას მასწავლებლების, ადმინისტრაციის და მომუშავე პერსონალის მიმართ. მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციების მიხედვით კოლეჯში საუკეთესოა:

• არსებული სასწავლო გარემო;

• სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა და აუდიტორიების მდგომარეობა;

• სასწავლო საწარმოები და პრაქტიკული სწავლების ორგანიზება;

• მასწავლებლების პროფესიონალიზმი და მუშაობის ხარისხი;

• პროფესიული პროგრამები და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა;

• ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ხარისხი.

მიუხედავად მაღალი კმაყოფილების მაჩვენებლებისა, გამოვლინდა სფერო, სადაც არსებობს გაუმჯობესების საჭიროება. სტუდენტებისა და მსმენელების პასუხების მიხედვით, მნიშვნელოვანია:

• სასწავლო პროცესის ინტერნეტით უფრო სრულყოფილი უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები

- შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სხვადასხვა სახის აქტივობები ყველა სპეციალობისა და ფილიალის სტუდენტებისა/მსმენელებისათვის, როგორიცაა ვიქტორინები, შეჯიბრებები და კონკურსები;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს სასწავლო ექსკურსიები პროფესიული პროგრამების შესაბამისად;
- პროგრამების ფარგლებში ხშირად მოეწყოს დარგის წამყვანი სპეციალისტების მასტერკლასები, ვორქშოფები და სამუშაო შეხვედრები;
- უზრუნველყონ სტუდენტებისა/მსმენელების რეგულარული შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- გაძლიერდეს სასწავლო პროცესის ინტერნეტით უზრუნველყოფა.